



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ.
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia.

www.ozurgeti.gov.ge

ქ. ოზურგეთი

N 9
21/03/2017

9-03-4-201703211904



დადგენილება №9
21 მარტი 2017 წელი

„ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 20 დეკემბრის N24 დადგენილებაში ცვლილებებისა დამატებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის 4-ე პუნქტის თანახმად, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

და ა დ გ ი ნ ა :

მუხლი 1. შეტანილი იქნეს ცვლილებები და დამატებები „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 20 დეკემბრის N24 დადგენილებაში, (www.matsne.gov.ge, 23/12/2016, 190020020.35.171.016129) კერძოდ:

- საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 მარტის #480 განკარგულებით ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტს გამოეყო 1 758, 5 ათ. ლარი.

1. შესაბამისად გაიზარდოს ბიუჯეტის შემოსავლები:

ა) სხვა სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები - 1 758,5 ათ. ლარით.

2. გაიზარდოს ბიუჯეტის ხარჯები:

ა) პროგრამული კოდი 03 01 - საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა -388,1 ათ. ლარით (არაფინანსური აქტივების ზრდა).

ბ) პროგრამული კოდი 03 02 04 - კეთილმოწყობის სამუშაოები - 1 370,4 ათ. ლარით (არაფინანსური აქტივების ზრდა).

მუხლი 2. დადგენილების დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ნინო გოგუაძე



საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმძღვანელობა